ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№22

ქ. თბილისი; 15 ივნისი, 2018 წ. 11:30 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
თინათინ ნიბლოშვილი
დავით ჭელიძე
ელენე ოზაშვილი
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ლევან მიქავა

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - გაიოზ თალაკვაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 10 000,0 ათასი ლარით და შეადგენს 906 863,6 ათას ლარს.

გაიოზ თალაკვაძის თქმით, აღნიშნული თანხა გამოყოფილია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 მაისის N1205 განკარგულების საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 10 000,0 ათასი ლარი მთლიანად მოხმარდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების სარეაბილიტაციო ღონისძიებებს. კერძოდ; ბარათაშვილის აღმართის რეაბილიტაციას, კახეთის გზატკეცილის მარჯვენა სათადარიგო ზოლის, რობაქიძის გამზირისა და შავი ზღვის ქუჩის კაპიტალურ შეკეთებას.

გაიოზ თალაკვაძემ იქვე დასძინა, რომ წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობების მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიებისა და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- გზების მშენებლობა აღდგენა 16 500,0 ათასი ლარით;
- გზების მოვლა- შეკეთება საბურთალოს რაიონში 60,0 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში 259,3 ათასი ლარით;
- 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები 800,0 ათასი ლარით;
- დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა 500,0 ათასი ლარით;
- საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება 2 927,6 ათასი ლარით;
- საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა 286,6 ათასი ლარით;
- საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება 130,0 ათასი ლარით,
- ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტოსათვის; ცხოველთა მონიტორინგი 167,0 ათასი ლარით;
- ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი 500,0 ათასი ლარით.
- წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება მთაწმინდის რაიონში 17,5 ათასი ლარით.

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტის თანახმად მცირდება:

- გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში 71,7 ათასი ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთბა ისნის რაიონში 357,2 ათასი ლარით;
- გზების მოვლა- შეკეთება მთაწმინდის რაიონში 100,0 ათასი ლარით;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები 252,1 ათასი ლარით;
- საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა- რეკონსტრუქცია 127,3 ათასი ლარით;
- ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება 119,0 ათასი ლარით;
- საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები 113,4 ათასი ლარით;
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია 19,5 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები 377,3 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში 100,0 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში 38,0 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში 18,3 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში 16,5 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში 166,1 ათასი ლარით;

- კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში 86,3 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში 211,5 ათასი ლარით;
- ქალაქის განვითარების ხელშეწყობა 6 500,0 ათასი ლარით;
- გამწვანების ღონისძიებები 136,1 ათასი ლარით;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა რაიონებში ჯამში 2 849,9 ათასი ლარით;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარება 16,8 ათასი ლარით;
- წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები საბურთალოს რაიონში 398,0 ათასი ლარით;
- თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობა 8,5 ათასი ლარით;
- სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა 35,6 ათასი ლარით;
- საბურთალოს რაიონის გამგეობა 11,3 ათასი ლარით.

დასასრულს, ბატონმა გაიოზმა აღნიშნა, რომ პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 872 185,7 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 34 677,9 ათასი ლარით. ასევე, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 820 685,7 ათასი ლარით.

გაიოზ თალაკვაძემ იქვე დასძინა, რომ 2018 წლისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 87 966,7 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრის ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა დადებითად შეაფასა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის მატება და განაცხადა, რომ აღნიშნული სამსახურის სტრუქტურულ ერთეულში, კერძოდ, ოპერატიული რეაგირების ჯგუფში აუცილებელია დასაქმებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა, ვინაიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქუჩის ძაღლების მხრიდან, ხშირად ადგილი აქვს ადამიანებზე თავდასხმას. ქალბატონი ელენეს თქმით, მაწანწალა ძაღლებმა გლდანის ტერიტორიაზე ორჯერ დაგლიჯეს თავისი არასრულწლოვანი შვილი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი ყურადსაღებია და მასზე უნდა მოხდეს შესაბამისი რეაგირება. ბატონი ლევანი ასევე დაინტერესდა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსთვის გამოყოფილი 167,0 ათასი ლარის მიზნობრიობის შესახებ.

ბატონმა გაიოზმა განმარტა, რომ აღნიშნული თანხა მოხმარდება საწვავის, მიკროავტობუსებისა და წამლების შეძენას. ასევე, ბაღებში და სკვერებში მაწანწალა ძაღლებისთვის განკუთვნილი საკვები წერტილების მოწყობას.

ელენე ოზაშვილმა აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით არსებობენ 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებული, კომპენსაციის გარეშე დარჩენილი პირები/ოჯახები.

ქალბატონი ელენე დაინტერესდა, მიმდინარე წლის ბიუჯეტში არის თუ არა გათვალისწინებული აღნიშნულ პირთა/ოჯახთა ზარალის ანაზღაურებისთვის საჭირო თანხები.

მომხსენებელის თქმით, წარმოდგენილ პროექტში ასახულია თანხა 800,0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდება 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებს. მათ შორის, სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა/ოჯახთა საცხოვრისით/ფულადი თანხებით უზრუნველყოფას.

ელენე ოზაშვილი ასევე დაინტერესდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი თანხის შემცირების თაობაზე.

ბატონი გაიოზის თქმით, აღნიშნულ პროგრამას თანხა აკლდება სატეხდერო ეკოხიძიებიდან გამომდინარე.

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტება გააკეთა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსის შემცირებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსების წესის ახალი რედაქციის ამოქმედების შემდგომ, ახალი რეგულაციებიდან გამომდინარე, პროგრამაში ჩართულობა მიმდინარე წლის პირველ და მეორე კვარტალში გახლავთ მცირე. თუმცა, წლის ბოლოსთვის, აღნიშნული პროგრამის გააქტიურებასთან ერთად შესაძლებელია საჭირო გახდეს დამატებითი თანხების მობილიზაცია.

ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრის ქალბატონი ელენე ოზაშვილის თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის ზრდას, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მაშტაბით, ასფალტის საფარის შეცვლის პარალელურად, განხორციელდეს სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია, ვინაიდან ყოველი წვიმის შემდგომ, გაუმართავი სანიაღვრე სისტემის გამო გზები იტბორება და ქალაქში იქმნება პრობლემები.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ასფალტის დაგების პარალელურად, ყოველთვის იცვლება სანიაღვრე სისტემა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრის **ავთანდილ ცინცაძის** განცხადებით, თავის მაჟორიტარულ ოლქში, ყოველთვის, როცა იცვლება ასფალტის საფარი, ასევე ხორციელდება სანიაღვრე სისტემისა და კომუნიკაციების რეაბილიტაცია.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ **ლევან ჟორჟოლიანმა** განმარტა, რომ მიზანშეწონილია დადგენილების სამართლებრივი საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითება.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების-პროექტის სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში მიეთითოს

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის კონკრეტული პუნქტი და დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:“

კომისიის თავმჯდომარემ ასევე დაამატა, რომ მიზანშეწონილია, დადგენილების პირველ მუხლში, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მიეთითოს N6-8 დადგენილების საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე განთავსების თარიღი და სარეგისტრაციო კოდი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია